ავტოტრანსპორტის დაზღვევის

პირობები

#MOR – 007/25 (Motor Retail, #7 სტანდარტული ვორდინგი 2025 წელი)

#MOR – 007/25 (Motor Retail, #7 სტანდარტული ვორდინგი 2025 წელი)

ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
თავსართი

ქ. თბილისი

ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევის პირობები (შემდგომში **„დაზღვევის პირობები“)** მოიცავს დაზღვევის შემდეგ სახეობებს/სექციებს:
ტერმონთა განმარტებები
ნაწილი I: **ავტოსატრანსპორტო საშუალების** ძარის დაზღვევა (CASCO);
ნაწილი II: **მესამე პირის** წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა (MTPL);
ნაწილი III: მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა (MPA);
ნაწილი IV: ზოგადი პირობები

ქვემოთ აღნიშნული ტერმინები გამოიყენება წინამდებარე პირობებსა და/ან შესაბამის სადაზღვევო პოლისში და აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. **ავტოტრანსპორტის დაზღვევის განაცხადი (განაცხადი) - მზღვეველის მიერ გაკეთებულ** ფორმაში და **დამზღვევის** მიერ დადასტურებული **ავტოსატრანსპორტო საშუალების** დაზღვევის მოთხოვნა.

1.2. **აღდგენის ღირებულება** - თანხა, რომელიც საჭიროა დაზიანებული ქონების / **ავტოსატრანსპორტო საშუალების** შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე აღსადგენად (საჭირო სამუშაოების, აუცილებელი მასალების და სათადარიგო ნაწილების **საბაზრო ღირებულება).**

1.3. **გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** - **დაზღვევის პერიოდის** განმავლობაში, კონკრეტული თარიღისათვის, **დაზღვევის პერიოდის** დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა.

1.4. **გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია** - **დაზღვევის პერიოდის** განმავლობაში, კონკრეტული თარიღისათვის, **დაზღვევის პერიოდის** დასრულებამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა.

1.5. **დაზღვევის პერიოდი - პოლისში** მითითებული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ძალაშია დაზღვევა.

1.6. **დაზღვევის პირობები** – წინამდებარე პირობები, რომლებიც განსაზღვრავს სადაზღვევო დაფარვის შინაარსს და მისი განხორციელების წესებს;

1.7. **დაზღვევის მოქმედების არეალი – პოლისში** მითითებული არეალი, რომელზეც მომხდარი შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას.

1.8. **დარეგულირების აქტი** – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს **მზღვეველის** მიერ **სადაზღვევო შემთხვევის** აღიარებას და წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს.

1.9. **დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება (ავტოსატრანსპორტო საშუალება) -პოლისში** მითითებული **ავტოსატრანსპორტო საშუალება,** რომლის მიმართ ვრცელდება ამ ხელ შეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა.

1.10. **ავტოტრანსპორტის ტექნიკური გაუმართაობა -** დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვისა და ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი მდგომარეობა ან/და მისი ნებისმიერი სისტემის, მათ შორის, ელექტროსადენების ან/და მოწყობილობების, მუხრუჭების, უსაფრთხოების ბალიშების, გაზის აპარატურის ან/და სისტემის, წვის სისტემის, სავალი ნაწილის და ძირითადი კვანძების (ძრავა, გადაცემათა კოლოფი, გადაბმულობა) გაუმართაობა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ან ხელი შეუწყოს დაზღვეული რისკის დადგომას.

1.11. **დამზღვევი** - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელთანაც ფორმდება **დაზღვევის ხელშეკრულება** და რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი **სადაზღვევო პრემიის** გადახდაზე;

1.12. **მესამე პირი** –ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას მიადგა ზიანი დაზღვეული **ავტოსატრანსპორტო საშუალების** ექსპლუატაციის შედეგად, გარდა უშუალოდ **დამზღვევის/ ავტოტსარანსპორტო საშუალების** მესაკუთრის, მათი თანამშრომლების, ოჯახის წევრების და **ავტოსატრანსპორტო საშუალების** მძღოლისა და მგზავრებისა.

1.13. **მნიშვნელოვანი პირობები–** ამ პირობების ძირითადი დებულებების კრებული მომხმარებლისთვის ზოგადი ინფორმაციის მიწოდებისათვის. მნიშველოვან პირობებსა და ამ პირობებს შორის გაურკვევლობის/წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ამ პირობებს.

1.14.**მოსარგებლე:**

- პირი, რომელიც **სადაზღვევო ხელშეკრულების** თანახმად იღებს **სადაზღვევო ანაზღაურებას** და მითითებულია **მოსარგებლედ პოლისში**;

დეპონირებულია 2025 წლის 10 იანვარს
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი 250018186

- **ავტოსატრანსპორტო საშუალების** მფლობელის **მესამე პირის** წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს ნებისმიერი **მესამე პირი,** რომელსაც მიადგა ზიანი **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად;
- მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის დროს **ავტოსატრანსპორტო საშუალების** მძღოლი ან მგზავრ(ებ)ი, რომელთაც მიადგა ზიანი **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად.

1.15. **პასუხისმგებლობის ლიმიტი ერთ დაზარალებულზე** - **პოლისში** დაფიქსირებული ანაზღაურების ქველიმიტი თითოეული მგზავრისთვის/მძღოლისთვის. თუ **პოლისში** ეს ლიმიტი მითითებული არ არის **-სადაზღვევო თანხა** გაყოფილია **სადაზღვევო შემთხვევის** დროს **ავტოსატრანსპორტო საშუალებაში** მყოფი მგზავრების რაოდენობით (მძღოლის ჩათვლით).

1.16. **პროპორციული ანაზღაურების პირობა –** თუ ზარალის დადგომის მომენტისათვის აღმოჩნდება, რომ **პოლისში** მითითებული **სადაზღვევო თანხა** ნაკლებია **ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულებაზე, სადაზღვევო ანაზღაურება** შემცირდება იმ პროპორციით, რა პროპორციაც არის **სადაზღვევო თანხასა** და **საბაზრო ღირებულებას** შორის.

1.17. **საბაზრო ღირებულება** - **ავტოსატრანსპორტო საშუალების**/მისი ცალკეული ნაწილის იდენტური მახასიათებლების მქონე ნივთის ღირებულება საქართველოს ბაზარზე **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის მომენტისთვის;

1.18. **საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (ავარია)** - საავტომობილო გზაზე ან/და მიმდებარე ტერიტორიაზე **ავტოსატრანსპორტო საშუალების** მოძრაობისას და მისი მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა **ავტოსატრანსპორტო საშუალება,** ნაგებობა ან/და სხვა ქონება.

1.19. **საავტომობილო გზა** - საინჟინრო ნაგებობა, რომლის დანიშნულებაა უზრუნველყოს ავტოტრანსპორტის უსაფრთხო და მოხერხებული მოძრაობა დადგენილი ნორმატიული სიჩქარეებით, ღერძული დატვირთვებით და გაბარიტებით.

1.20. **ავტოსატრანსპორტო საშუალების განადგურება** – შემთხვევა, როდესაც **ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენის ღირებულება სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას შეადგენს **ავტოსატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო თანხის** 70%-ზე მეტს.

1.21. **ავტოსატრანსპორტო საშუალების** დაკარგვა – **ავტოსატრანსპორტო საშულების** ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის შედეგად დაკარგვა, როდესაც მისი პოვნა ვერ ხერხდება შემთხვევის დადგომიდან 3 (სამი) თვის მანძილზე;

1.22. **სადაზღვევო პოლისი** -დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ამ დაზღვევის ძირითადი მახასიათებლები. **პოლისის** და ამ პირობების შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება **პოლისში** ასახულ პირობებს.

1.23. **სადაზღვევო თანხა – პოლისში** მითითებული თანხა, რომელიც წარმოადგენს **მზღვეველის** პასუხისმგებლობის მაქსიმალურ ოდენობას ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

1.24. **სადაზღვევო ანაზღაურება** – თანხა, რომელიც **სადაზღვევო ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად გადაეცემა **მოსარგებლეს სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას;

1.25. **სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო მომსახურების საფასური, რომელსაც დამზღვევი უხდის მზღვეველს დაზღვევის მომსახურებისთვის და რომელიც განსაზღვრულია პოლისითა და წინამდებარე პირობებით.

1.26. **სადაზღვევო ხელშეკრულება - პოლისის**, **განაცხადის,** ამ პირობების, და **მნიშნელოვანი პირობების** ერთობლიობა.

1.27. **სადაზღვევო შემთხვევა -** წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის დადგომის დროს **მზღვეველს** ექნება ვალდებულება აანაზღაუროს ზარალი.

1.28. **უფლებამოსილი მძღოლი** - პირ(ებ)ი, რომელსაც აქვს შესაბამისი კატეგორიის მოქმედი მართვის მოწმობა და მითითებული არიან **პოლისში** , როგორც **უფლებამოსილი მძღოლები.**

1.29. **ფრანშიზა** - თანხა, რომლის მოცულობა განსაზღვრულია **პოლისით** და **მზღვეველის** მიერ არ ანაზღაურდება. **ფრანშიზა** განსაზღვრულია ყოველ და თითოეულ შემთხვევაზე.

1.30. **მზღვეველი**-სს ,,სადაზღვევო კომპანია ალფა“, ს/კ 204568896.

1.31. **არაქარხნული დეტალი - ავტოსატრანსპორტო საშუალების** ნებისმიერი ის ნაწილი/დეტალი/აქსესუარი, რომელიც არ არის დაზღვეული **ავტოსატრანსპორტო საშუალების** მწარმოებლის მიერ გამოშვებული ან არ ფიქსირდება **ავტოსატრანსპორტო საშუალების** კომპლექტაციაში VIN კოდის შესაბამისად, მათ შორის სანომრე ნიშნები.

1.32. **პირადი დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალება -** ფიზიკური პირის და/ან ორგანიზაციის საკუთრებაში/მინდობილ საკუთრებაში არსებული **ავტოსატრანსპორტო საშუალება**, რომელიც გამოიყენება ფიზიკური პირის მიერ არაკომერციული მიზნებისთვის. აღნიშნული გულისხმობს, რომ **ავტოსატრანსპორტო საშუალება** არ გამოიყენება ორგანიზაციის ფუნქციონირებისთვის საჭირო საქმიანობისთვის, მათ შორის თანამშრომლების გადასაადგილებლად, სამივლინებო მომსახურებისთვის, ადმინისტრაციული და ლოჯისტიკური მიზნებისთვის და ა.შ. რაც არ მოიცავს **ავტოსატრანსპორტო საშუალების** გამოყენებას შემოსავლის მიღების მიზნით.

1.33. **სხვა კომერციული დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალება -** ფიზიკური პირის და/ან ორგანიზაციის საკუთრებაში/მინდობილ საკუთრებაში არსებული**ავტოსატრანსპორტო საშუალება,** რომელიც გამოიყენება შემოსავლის მიღებისთვის, გარდა ტაქსის და გაქირავებული **ავტოსატრანსპორტო საშუალებისა.**

1.34. **„დღე“, კვირა“, „თვე“** - კალენდარული დღე, კვირა, თვე თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ნაწილი I
ავტოსატრანსპორტო საშუალების ძარის დაზღვევის პირობები

ავტოსატრანსპორტო საშუალების ძარის დაზღვევა:

1. **სადაზღვევო შემთხვევას** წარმოადგენს **დაზღვევის პერიოდის** განმავლობაში **დაზღვევის მოქმედების არეალში** მომხდარი **ავტოსატრანსპორტო საშუალების** ძარის (მათ შორის ქარხნულად დამონტაჟებულ დეტალებზე, სარკეებზე, მოწყობილობებზე და აქსესუარებზე, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს), ქვემოთ ჩამოთვლილი რისკების გარეგანი ზემოქმედების შედეგად მიყენებული, დაზიანება/განადგურება/ ან **ავტოსატრანსპორტო საშუალების** დაკარგვა, (თუ პოლისში სხვაგვარად არ არის მითითებული):

- ავტო–საგზაო შემთხვევა (ავარია);
- ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა;
- სხვადასხვა საგნების დაცემა;
- ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი;
- სტიქიური მოვლენები, მათ შორის სეტყვა;
- გარე დეტალების, აქსესუარების, მინების, სარკეების დაზიანება, ქურდობა;

2. **სადაზღვევო ანაზღაურება:**

2.1. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება:

2.1.1. ნაწილობრივი ზიანისას – **ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენის ღირებულებას** გამოკლებული **ფრანშიზის,** ინვოისში მითითებული დღგ-ს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ოდენობა. თუ **ავტოსატრანსპორტო საშუალების** ასაკი აღემატება 3 წელს ან/და დაზიანებული ნაწილი არ ექვემდებარება აღდგენას, **მზღვეველი** უფლებამოსილია აუნაზღაუროს **დამზღვევს** თანხა, რომელიც დაანგარიშდება მეორადი ქარხნული კომპლექტაციით გათვალისწინებული დეტალების ღირებულებიდან. იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხერხდა ორიგინალი მეორადი ნაწილების საბაზრო ღირებულების დადგენა, ანაზღაურება მოხდება ახალი არაორიგინალი ნაწილების ღირებულების გათვალისწინებით. არაქარხნული დეტალის დაზიანების შემთხვევაში, მზღვეველი თავად გადაწყვეტს რა სახით აანაზღაუროს დაზიანება: მსგავსი არაქარხნული დეტალით, კონკრეტული ავტომობილის ქარხნული მეორადი ორიგინალი დეტალით თუ სხვა წარმოების ახალი არაორიგინალი დეტალით;
თუ **ავტოსატრანსპორტო საშუალების** ასაკი არ აღემატება 3 წელს და ამავდროულად იგი იმყოფება შესაბამისი ცენტრის გარანტიაზე, ასეთ შემთხვევაში, დამზღვევის სასარგებლოდ გასაცემი თანხა დაანგარიშდება შესაბამისი ცენტრის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვით.
ანგარიშსწორება ხორციელდება დაზიანებული ავტოტრანსპორტის შემკეთებელ ავტოსერვის ცენტრთან ან უშუალოდ დამზღვევთან (არაუმეტეს იმ ოდენობისა რაც დადგენილია სერვისცენტრის მიერ დღგ-ს გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)), მზღვეველის გადაწყვეტილების შესაბამისად.

2.1.2. ნაწილობრივი ზიანისას დამზღვევის მხრიდან 2.4.3. პუნქტით გათვალისწინებული მოხსნილი/დაზიანებული დეტალების მზღვეველის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია აღნიშნული დეტალების ნარჩენი ღირებულება გამოქვითოს სადაზღვევო პერიოდში დამდგარი შემდგომი სადაზღვევო შემთხვევის ფარგლებში გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურებიდან.

2.1.3. **ავტოსატრანსპორტო საშუალების დაკარგვის/განადგურების** შემთხვევაში, ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრება **ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულებით, სადაზღვევო თანხის** ფარგლებში. ასანაზღაურებელ თანხას გამოაკლდება **ფრანშიზის** ოდენობა, **დაზღვევის პერიოდში** ანაზღაურებული ზარალის თანხა (ასეთის არსებობისას), **სადაზღვევო პრემიის** დარჩენილი/გადაუხდელი ნაწილი და **ავტოსატრანსპორტო საშუალების** ნარჩენი ღირებულება. ამასთან **მზღვეველი** უფლებამოსილია აანაზღაუროს ზარალი, ნარჩენი ღირებულების გამოკლების გარეშე, ამ შემთხვევაში, საკუთრების უფლება **ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე,** რომელიც მიიჩნევა მთლიანად განადგურებულად, გადადის **მზღვევლზე.** წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის. ანაზღაურების ფორმაზე გადაწყვეტილებაზე უფლებამოსილ მხარეს წარმოადგენს მზღვეველი.

2.2. **ავტოსატრანსპორტო საშუალების** დაკარგვის/განადგურების შემთხვევაში, **საბაზრო ღირებულების** გადახდის სანაცვლოდ **მზღვეველი** უფლებამოსილია **დამზღვევს** შესთავაზოს ანალოგიური მახასიათებლების მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებით ჩანაცვლება, რა შემთხვევაშიც **დამზღვევი** ვალდებულია გადაუხადოს **მზღვეველს ფრანშიზის** ოდენობა (იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი დაეთანხმება **ავტოსატრანსპორტო საშუალების** ჩანაცვლებას).

2.3. თუ **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის მომენტისათვის აღმოჩნდება, რომ **სადაზღვევო თანხა** 10%-ით ან/და მეტით ნაკლებია დაზღვეული **ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულებაზე**, **მზღვეველი** აანაზღაურებს ზიანს **სადაზღვევო თანხისა** და **საბაზრო ღირებულების** შეფარდების შესაბამისად.

2.4. შესაძლებელია მოხდეს მცირე სადაზღვევო შემთხვევების საპატრულო პოლიციის ოქმის გარეშე დარეგულირება (თუ დამზღვევი იმყოფება შემთხვევის ადგილზე), როდესაც არ ფიგურირებს ან არ ხერხდება მესამე პირის და/ან მისი ქონების იდენტიფიკაცია. სავარაუდო ზარალის ოდენობა, რომლის შეფასებაც ხდება ზარალის მენეჯერის მიერ, არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს. ამავდროულად, მზღვეველი იტოვებს უფლებას მისთვის საეჭვო ვითარების დაფიქსირების შემთხვევაში მაინც მოითხოვოს საპატრულოს გამოძახება, მიუხედავად იმისა აქტიურია თუ არა მოცემული დაფარვა. წინამდებარე პუნქტის შესაბამისად დამზღვევის სასარგებლოდ მომსახურების გაწევა შესაძლოა მოხდეს სრული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში არაუმეტეს 3 (სამი) სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით.

3. გამონაკლისები:

წინამდებარე დაზღვევით ანაზღაურებას არ ექვემდებარება ზარალი დაკავშირებული შემდეგ გარემოებებთან:

3.1. დაზიანებული **ავტოსატრანსპორტო საშუალების** აღდგენითი სარემონტო სამუშაოებს განახორციელება **მზღვეველთან** შეუთანხმებლად;

3.2. ხარჯები, გამოწვეული ცვეთით, კოროზიით, დაჟანგვით, თანდაყოლილი დეფექტებით, შეუსაბამო დიზაინით, დეფექტური მასალების გამოყენებით და სხვა ბუნებრივი თვისებებით, **ავტოსატრანსპორტო საშუალების** ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო შეკეთების ხარჯები.

3.3. **ავტოსატრანსპორტო საშუალების** შეკეთების შედეგად **საბაზრო ღირებულების** შემცირებით გამოწვეული ზიანი;

3.4. საბურავებზე/დისკზე მიყენებული დაზიანება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბურავების ასეთი დაზიანება, შედეგად მოყვა დაზღვეულ რისკებს და ასეთი შემთხვევის შედეგად, გარდა საბურავებისა, **ავტოსატრანსპორტო საშუალების** სხვა ნაწილებიც დაზიანებულია.

3.5. დაზღვეული ავტოტრანსპორტის სავალი ნაწილის, ტრანსმისიის, ძრავის, საბურავების ან/და დისკების დაზიანება გამოწვეული დაზიანებული გზის საფარით.

3.6. **ავტოსატრანსპორტო საშუალების** დაუდგენელ ვითარებაში დაზიანებით გამოწვეული ზარალი, თუ **დამზღვევი** ან **უფლებამოსილი მძღოლი** აღნიშნულის შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ არ დაუკავშირდა **მზღვეველს** და საპატრულო პოლიციას ან თუ **ავტოსატრანსპორტო საშუალება** გადაადგილებულია **სადაზღვევო შემთხვევის** ადგილიდან **მზღვეველის** ნებართვის გარეშე;

3.7. სახელმწიფოს შესაბამისი, უფლებამოსილი ორგანოების მიერ **ავტოსატრანსპორტო საშუალების** ჩამორთმევის შედეგად გამოწვეული ზარალი.

3.8. **ავტოსატრანსპორტო საშუალების** მაყუჩის (კატალიზატორის) ძარცვა, ქურდობა, ყაჩაღობა დაზღვევის შემთხვევაში;

3.9. მექანიკური და ელექტროსისტემების მწყობრიდან გამოსვლა, გარდა დაზღვეული რისკით **ავტოსატრანსპორტო საშუალების** გარეგანი დაზიანების შედეგად.

3.10. **ავტოსატრანსპორტო საშუალების** დაზღვევამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული სამუშაოები;

3.11. **მესამე პირის** მიერ **ავტოსატრანსპორტო საშუალების** ხელში ჩაგდების მიზნით **უფლებამოსილი მძღოლის** მოტყუება/თაღლითობა;

3.12. ტენტები, შალითები, საღებავის დამცავი ფირების ღირებულება;

3.13. **ავტოსატრანსპორტო საშუალების** შეკეთების ხარჯები საქართველოს ტერიტორიის გარეთ (თუ რაიმე დამატებითი შეთანხმება არ არსებობს **დამზღვევსა** და **მზღვეველს** შორის); იმ შემთხვევაში, თუკი იზღვევა მსუბუქი ავტომობილი (წონა არ აღემატება 3.5 ტონას) და პოლისი ფარავს საქართველოს გარდა სხვა ტერიტორიებსაც, ზარალის შემთხვევაში ანაზღაურდება მხოლოდ დადასტურებული ავტოსაგზაო შემთხვევა.

ნაწილი II

ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის (MTPL)პირობები

თუ **პოლისით** არის შეძენილი MPTL-ის დაფარვა (არის გათვალისწინებული **სადაზღვევო თანხა MPTL-ის სექციისთვის**), **დამზღვევს** ეკუთვნის ამ ნაწილში გათვალისწინებული დაფარვა.

1. **სადაზღვევო დაფარვა (MTPL)**

დაზღვევის პერიოდის განმავლობაში **დაზღვევის მოქმედების არეალში** დაზღვეული ავტოტრანსპორტის მოძრაობის დროს, უფლებამოსილი მძღოლის მიერ დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვისას მომხდარი **ავტოსაგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის** შედეგად **დამდგარი ავტომფლობელის** პასუხისმგებლობა:

1.1. **მესამე პირის** გარდაცვალებას ან ჯანმრთელობის დაზიანებაზე;

1.2. **მესამე პირის** ქონების დაზიანება/განადგურებაზე.

2. **სადაზღვევო ანაზღაურება**

2.1. ამ დაფარვით **მზღვეველი ანაზღაურებს თანხას:**

2.1.1. რომლის გადახდაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრება **დამზღვევს** ან/და **უფლებამოსილ მძღოლს, ავტოსატრანსპორტო საშუალების** უშუალო მონაწილეობით მესამე პირ(ებ)ისათვის მიყენებული ზიანისათვის

ან,

2.1.2. რომელიც დადგინდება **მზღვეველს**, **დამზღვევს** და დაზარალებულ **მესამე პირს** შორის შეთანხმების საფუძველზე და დაზარალებული **მესამე პირი** წერილობით დაადასტურებს, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული თანხის/მომსახურების/ქონების მიღების შემდეგ მას არ ექნება რაიმე სახის პრეტენზია **მზღვეველის, დამზღვევის** ან **უფლებამოსილი მძღოლისადმი;**

2.2. ამ დაფარვით ანაზღაურდება ასევე სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯები, არაუმეტეს **სადაზღვევო თანხის** 20% -ის ოდენობით, რომელიც გაწეული იქნება, **მზღვეველის** წინასწარი წერილობითი თანხმობით, **მესამე პირის** მოთხოვნისაგან დაცვისათვის.

2.3. **მზღვეველის** ჯამური სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულება არის ლიმიტირებული **პოლისში** მითითებული **სადაზღვევო თანხით,** დაზარალებულის რაოდენობისა და მიყენებული საერთო ზიანის სიდიდის მიუხედავად.

2.4. მზღვეველი უფლებამოსილია ანაზღაურების გაცემისთვის მოითხოვოს **დამზღვევისგან მესამე პირისთვის** მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება.

2.5. **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის/თანხის გაცემა ხდება მხოლოდ **მზღვეველთან** წინასწარი წერილობითი შეთანხებით.

2.6. ანაზღაურების დათვლისას მოქმედებს შემდეგი პრინციპები:

2.6.1. **მესამე პირის** ქონების დაზიანების შემთხვევაში მხედველობაში მიიღება დანახარჯები ქონების ზიანის დადგომის მომენტისთვის მდგომარეობის აღდგენისთვის. თუ ქონება აღდგენას არ ექვემდებარება, ქონების **სადაზღვევო შემთხვევის** დადგენის მომენტისთვის- **საბაზრო ღირებულება.**

2.6.2. **მესამე პირის** გარდაცვალებისას ან ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში - მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა:

- **მესამე პირისთვის** გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის ხარჯი.
- დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით. მათ შორის, მკურნალობის, მედიკამენტების, პროთეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის,
- ხელფასი (შემოსავალი), რომელიც დაზარებულმა დაკარგა, თუ იგი ნაწილობრივ ან სრულად შრომისუუნარო გახდა;
- ხელფასის (შემოსავლის) ნაწილი, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ ან უფლება ჰქონდათ მიეღოთ მისგან სარჩო (რეგულარული გადახდების სახით);

ხელფასთან დაკავშირებული ანაზღაურების გამოთვლის დროს ხელფასიდან მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გამოკლება.

3. **გამონაკლისები**

3.1. შემთხვევები, რომლებიც არ იყო დარეგისტრირებული პატრულში;

3.2. ზიანი, მიყენებული იმ პირის/პირების ქონების მიმართ, რომლებიც ამ პირობების მიხედვით არ ითვლებიან **მესამე პირად.**

3.3. **მესამე პირის** ქონება, რომელიც იმყოფება **დამზღვევის/უფლებამოსილი მძღოლის** მეთვალყურეობის ქვეშ. მათ შორის ამ ქონების ტრანსპორტირება **ავტოსატრანსპორტო საშუალებით;**

3.4. თუ **დამზღვევი მესამე პირის** წინაშე თავის ვალდებულებებს აღიარებს **მზღვეველთან** წერილობითი თანხმობის გარეშე;

3.5. **მესამე პირის** ჯანმრთელობის გაუარესება / გარდაცვალება – თუ ასეთი შემთხვევა დადგება ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომის მომენტიდან 12 თვის გასვლის შემდეგ.

3.6. ზარალი გამოწვეულია **ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე** მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით (თუ მისაბმელი არ არის მითითებული, როგორც დაზღვეული **სატრანსპორტო საშუალება** პოლისში);

3.7. გარემოს დაბინძურების შედეგად დამდგარი ზიანი; (კოროზია)

3.8. თუ შემთხვევა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების შედეგად, მათ შორის ნებისმიერი არაკონტროლირებადი (მათ შორის უფლებამოსილი მძღოლის მიერ გაუკონტროლირებადი) გარემოების გამო, რა შემთხვევაშიც არ დგინდება **ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის** ბრალეულობა;

ნაწილი III
მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის (MPA) პირობები

თუ **პოლისით** არის შემენილი **MPA** -ს დაფარვა (არის გათვალისწინებული **სადაზღვევო თანხა MPA**-ს სექციისთვის), **დამზღვევს** ეკუთვნის ამ ნაწილში გათვალისწინებული დაფარვა.

1. **სადაზღვევო დაფარვა**

სადაზღვევო შემთხვევად განიხილება **ავტოსატრანსპორტო საშუალებაში** მყოფი მძღოლის და/ან მისი მგზავრის/მგზავრების გარდაცვალება და/ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესება, რაც გამოწვეულია **დაზღვევის პერიოდის** განმავლობაში, **დაზღვევის მოქმედების არეალში ავტოსატრანსპორტო საშუალების** ექსპლუატაციისას **საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის** შედეგად და რომელიც გამოვლინდება ამ შემთხვევიდან არაუგვიანეს 12 თვის განმავლობაში.

2. **სადაზღვევო ანაზღაურება**

2.1. **მზღვეველი**, ერთ **დაზარალებულზე ლიმიტის** ფარგლებში აუნაზღაურებს თითოეული დაზარალებულ მგზავრს/მძღოლს ან მის კანონიერ წარმომადგენელს **სადაზღვევო შემთხვევით** გამოწვეულ ხარჯებს ქვემოთ მითითებული სქემის მიხედვით;

2.1.1. სამედიცინო დაწესებულებამდე მიყვანის და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო ღონისძიებების ხარჯები;

2.1.2. დოკუმენტურად დადასტურებული სამედიცინო დაწესებულების მკურნალობის ხარჯები;

2.1.3. დაზარალებულის **სადაზღვევო შემთხვევით** გამოწვეული შრომისუნარიანობის დაკარგვისას, გამომდინარე შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხისა, **მზღვეველი** გადაუხდის კომპენსაციას ერთ დაზარალებულს დარჩენილი **ლიმიტის** 35%-100%.

კომპენსაცია ითვლება შემდეგი პრინციპით:

- მხედველობის, სმენის/გადაადგილების უნარის სრული/მუდმივი დაკარგვისას **ერთ დაზარალებულზე** დარჩენილი **ლიმიტის** 100%.
- თირკმლის/ერთი კიდურის ფუნქციის სრული მუდმივი დაკარგვისას **ერთ დაზარალებულზე** - დარჩენილი **ლიმიტის** 70%.
- სხვა ორგანოების/სხეულის ნაწილების სრული მუდმივი ფუნქციის დაკარგვისას **ერთ დაზარალებულზე**-დარჩენილი **ლიმიტის** 30%.

2.2. **სადაზღვევო თანხა/ერთ დაზარალებულზე ლიმიტი** მცირდება **მზღვეველის** მიერ ანაზღაურებული თანხით, **სადაზღვევო თანხის/ლიმიტის** სრულ ამოწურვამდე. ერთ დაზარალებულზე **ლიმიტის/სადაზღვევო თანხის** ამოწურვის შემდეგ **მზღვეველის** პასუხისმგებლობა ამ დაზარალებულის მიმართ/ამ სექციის მიხედვით ნულდება და **მზღვეველი** არ არის ვალდებული გადაიხადოს არანაირი თანხა.

3. **გამონაკლისები:**

3.1. ჯანმრთელობის გაუარესება / გარდაცვალება თუ ასეთი შემთხვევა დადგება **საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის** მომენტიდან 12 თვის გასვლის შემდეგ.

3.2. ნებისმიერი სახელმწიფო, მუნიციპალური სამედიცინო/ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები.

ნაწილი IV
ზოგადი პირობები

1. საერთო გამონაკლისები

ამ პუნქტში გათვალისწინებული გამონაკლისები ეხება ამ პირობებით გათვალისწინებულ ყველა სადაზღვევო დაფარვას. **მზღვეველი** არ არის პასუხისმგებელი გასცეს **სადაზღვევო ანაზღაურება** შემდეგი გარემოებების არსებობისას:

1.1. **საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით**/გაურკვეველ ვითარებაში **ავტოსატრანსპორტო საშუალების** დაზიანებით გამოწვეული ზარალი, როცა პატრული არ იყო დროულად გამოძახებული შემთხვევის ადგილზე. პატრულის მისვლის მომენტისთვის შეცვლილი იყო შემთხვევის ადგილის პირვანდელი სახე/**ავტოსატრანსპორტო საშუალება ან უფლებამოსილი მძღოლი** იყო გადაყვანილი/გადაადგილდა სხვაგან;

1.2. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით/გაურკვეველ ვითარებაში ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანებით გამოწვეული ზარალი, როდესაც დაზღვეული ავტომობილის უფლებამოსილმა მძღოლმა მიატოვა შემთხვევის ადგილი;

1.3. თუკი შემთხვევა დაფიქსირდა, მოცემულიდან რომელიმე გარემოების გათვალისწინებით: სიჩქარის გადაჭარბება 30 კმ.სთ ან/და მეტით; უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა; წითელზე გავლა; ავტობუსის გადაადგილებისთვის განკუთვნილ ხაზზე (ე.წ. „ბასლაინზე“) მოძრაობა; საგზაო ნიშნის/მონშვნის „დაუთმე გზა“ დაუმორჩილებლობა; სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა სავალდებულო ზამთრის საბურავების ან/და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვის გარეშე; ავტომანქანის დაგორება;

1.4. ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელიც მოხდა საავტომობილო გზის ან/და მიმდებარე ტერიტორიის, ეზოს, ავტოფარეხის გარდა სხვა ტერიტორიაზე, სადაც არ არის საერთო სარგებლობის გზა, მათ შორის ტყის ან/და მთის მასივი, მდინარის კალაპოტი, ტბა.

1.5. ცხოველის მიერ მიყენებული დაზიანება, გარდა ავტოსაგზაო შემთხვევისა.

1.6. **ავტოსატრანსპორტო საშუალება** გასხვისებულია, გაქირავებულია და/ან გამოიყენება მგზავრთა/ტვირთის გადაყვანისთვის შემოსავლის მიღების მიზნით და **მზღვეველთან** ეს არ იყო წერილობით შეთანხმებული;

1.7. **დამზღვევის** მიერ მოწოდებული ინფორმაცია არასწორი/არაზუსტი აღმოჩნდება;

1.8. ავტოსატრანსპორტო საშუალების შეჯახება დამზღვევის, მისი წარმომადგენლის ან ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებულ სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან.

1.9. **დამზღვევის** ან **უფლებამოსილი მძღოლის** განზრახი ქმედება, რომელიც მიმართულია **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისაკენ: მათ შორის (და არამხოლოდ) ზარალი გამოწვეული თვითმკვლელობით, თვითმკვლელობის მცდელობით და საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით ან მიყენების მცდელობით;

1.10. შემთხვევა , რომელიც მოხდა პრემიის პირველი შენატანის სრულად გადახდამდე.

1.11. ზარალი გამოწვეულია ან გაუარესებულია **სადაზღვევო შემთხვევამდე** არსებული დაზიანებით;

1.12. ზარალი დადგა დამზღვევის/უფლებამოსილი მძღოლის განზრახი ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით;

1.13. ზარალი დადგა ავტომობილის დეტალზე, რომელზეც უკვე ფიქსირდება იმავე კატეგორიის ან/და სიმძიმის სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული დაზიანება;

1.14. ზარალი დადგა ავტოსატრანსპორტო საშუალების თვითაალების შედეგად;

1.15. ზარალი დადგა ავტომობილის ტექნიკური გაუმართაობის შედეგად;

1.16. **ავტოსატრანსპორტო საშუალებას** მართავს არაუფლებამოსილი მძღოლი (მათ შორის მართვის უფლების შეჩერების/ჩამორთმევის პერიოდში ან თუ **ავტოსატრანსპორტო საშუალებას** მართავს მძღოლი, რომელსაც აქვს სხვა კატეგორიის მართვის მოწობის), ასევე იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს კონკრეტულ სიტუაციაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ეკრძალება ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა (ნარკოტიკული, ალკოჰოლური თრობის ზემოქმედების, ფსიქიკური მოშლილობის დროს ან/და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეკრძალება (სრულად ან კონკრეტულ მომენტში) ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა (მათ შორის და არამხოლოდ: მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო) და ა.შ.)

1.17. **საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით** გამოწვეული ზარალის დროს **უფლებამოსილმა მძღოლმა** უარი განაცხადა მისი მდგომარეობის დასადგენად შესაბამისი სინჯების ჩაბარებაზე ან/და **მზღვეველთან** არ იქნა წარდგენილი ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების ოქმი ან ალკოტესტით შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი;

1.18. **დამზღვევმა** არ შეასრულა ორმაგი დაზღვევის შესახებ შეტყობინების ვალდებულება **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომამდე.

1.19. **ავტოსატრანსპორტო საშუალება** იმყოფებოდა მართვისათვის გამოუდეგარ მდგომარეობაში; **საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა** გამოწვეული მუხრუჭების მექანიკურ ან ელექტრონულ წუნით.

1.20. ადგილი აქვს შემთხვევას, რომელიც შედეგად მოჰყვა გასაღების / სარეგისტრაციო მოწმობის **ავტოსატრანსპორტო საშუალებაში** დატოვებას, გასაღების არაუფლებამოსილი მძღოლისთვის გადაცემას, მათ შორის გასაღების ნებისმიერი დაცვის, პარკირების ან სხვა მსგავსი სამსახურებისთვის გადაცემას; შუშების ჩაწეულ მდგომარეობაში ან კარების ღიად დატოვებას;

1.21. გაყალბება: თუ **დამზღვევი** რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება, რომ გააყალბოს **სადაზღვევო შემთხვევა** (ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი), **მზღვეველს** უფლება აქვს, არ აანაზღაუროს შესაბამისი ზარალი. ეს პირობა ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზეც, როდესაც **დამზღვევი** შეგნებულად ზრდის ზარალის თანხას ან **მზღვეველს** აწვდის ყალბ ან არასწორ ინფორმაციას;

1.22. **ავტოსატრანსპორტო საშუალების** ტრანსპორტირება ტვირთის სახით (ჩატვირთვის და გადმოტვირთვის ჩათვლით) საზღვაო, სახმელეთო, სარკინიგზო ან სხვა სახის ტრანსპორტით, მათ შორის ლაფეტით (ევაკუატორი) გადაზიდვა ან ბუქსირით გადაადგილება, **ავტოსატრანსპორტო საშუალების** საჯარიმოზე გადაყვანის/გადაადგილების დროს, ასევე საჯარიმო სადგომზე ყოფნისას;

1.23. **ავტოსატრანსპორტო საშუალება** იძებნება ან მისი რეალური მონაცემები არ ემთხვევა ტექ-პასპორტის მონაცემებს;

1.24. გარემოებები, რომელიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია **დამზღვევისთვის** ან **მისი** წარმომადგენლისათვის და ამის შესახებ დაუყოვნებლივ არ ეცნობა **მზღვეველს** წერილობითი ფორმით ან მიეწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია (დოკუმენტი) აღნიშნულის შესახებ;

1.25. **ავტოსატრანსპორტო საშუალება** გამოიყენება სისწრაფეში შეჯიბრში ან სამაშველო სამსახურში, **ავტოსატრანსპორტო საშუალების** ნებისმიერი სახით გამოცდა (Off Road; Test Drive);

1.26. **ავტოსატრანსპორტო საშუალება** გადატვირთულია ან მგზავრთა რაოდენობა აღემატება დასაშვებს.

1.27. **ავტოსატრანსპორტო საშუალების** გამოყენება ხდება აეროპორტის ან საფრენი მოედნის აკრძალულ უბნებში;

1.28. ომი, დაპყრობა, საომარი მოქმედებები, სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, სახელმწიფო გადატრიალება, ტერორიზმი, საბოტაჟი, საზოგადოებრივი არეულობები და ამ გარემოებების დროს დამდგარი ნებისმიერი ზიანი;

1.29. მაიონიზებელი რადიაცია ან დაბინძურება დასხივებული საწვავით ან ბირთვული ნარჩენებით, ბირთვული საწვავის აალება – ამ გარემოებების დროს დამდგარი ზიანი;

1.30. **დამზღვევის** მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების უხეში დარღვევა;

1.31. საქართველოს ფარგლებს გარეთ დამდგარი **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად დაზიანებული **ავტოსატრანსპორტო საშუალების** ევაკუირების ხარჯები საქართველოს ტერიტორიამდე.

1.32. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

შენიშვნა: უხეში გაუფრთხილებლობა - სამოქალაქო კანონმდებლობა არ ქმნის უხეში გაუფრთხილებლობის ლეგალურ დეფინიციას. მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობა არის მეტისმეტი დაუდევრობა, უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელ ყურადღებას არ იჩენს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით. უხეში გაუფრთხილებლობა გულისხმობს აუცილებელი წინდახედულობის ნორმების განსაკუთრებით მძიმე დარღვევას.

2. მოქმედებები სადაზღვევო შემთხვევის დროს

2.1. შემთხვევის დადგომისას **დამზღვევი ვალდებულია:**

2.1.1. შემთხვევის დადგომიდან დაუყოვნებლივ, (გარდა ისეთი გარემოებისა, როცა **დამზღვევს** არ შეუძლია დაკავშირება **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად ჯანმრთელობის მძიმე გაუარესების გამო) უნდა მოხდეს **მზღვეველთან** დაკავშირება საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე +995 32 2 640 640 და შეტყობინების დატოვება მომხდარი შემთხვევის შესახებ;

2.1.2. შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს პატრულის გამოძახება (გარდა სტიქიური მოვლენების შედეგად და საგნების ვარდნით გამოწვეული ზარალისა) და პატრულისა და **მზღვეველის** წარმომადგენლის

მისვლამდე (თუ **მზღვევლთან** არ იყო სხვანაირად შეთანხმებული), არ გადაადგილდეს **ავტოსატრანსპორტო საშუალება** შემთხვევის ადგილიდან, რათა შენარჩუნებული იყოს შემთხვევის პირვანდელი სახე;

2.1.3. მიიღოს ყველა შესაძლო ზომა **ავტოსატრანსპორტო საშუალების** გადარჩენისთვის/ზიანის შემცირებისთვის.

2.1.4. ხელი შეუწყოს **მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის** დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებაში, მათ შორის შესაბამისი დაწესებულებებიდან ან სხვა მესამე პირებისგან მიიღოს დამდგარ **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებული ინფორმაცია საგზაო მოძრაობის და საგზაო–საპტრანსპორტო შემთხვევების სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევის შესახებ; ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულებიდან სადაზღვევო ანაზღაურების გასაცემად საჭირო სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაცია.

2.1.5. მზღვევლის ნებისმიერი ფორმით წარდგენილი მოთხოვნისას **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებული ინფორმაციის მიღების მიზნით მისცეს შესაძლებლობა დაზღვეულ ავტო სატრანსპორტო საშუალებას ჩაუტაროს ე.წ. კომპიუტერული შემოწმება შესაბამისი ელექტრონული ხელსაწყოს („ობდ კიტი“) გამოყენებით.

2.1.6. **მზღვეველს** წარუდგინოს ზარალთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არაუგვიანეს შემთხვევის დადგომიდან 30 დღისა.

2.1.7. **საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში** სხვა ბრალეული მხარის არსებობისას **დამზღვევმა** უზრუნველყოს ბრალეული მხარის მიმართ მოთხოვნის უფლების **მზღვეველზე** გადაცემა.

2.2. **დამზღვევის** მიერ წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ვალდებულების (მათ შორის შეტყობინების/ დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის დადგენილი ვადის) დარღვევის შემთხვევაში, **მზღვეველი** იტოვებს უფლებას, არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე. ამასთანავე, **მზღვეველთან** სატელეფონო შეტყობინების დაგვიანების ობიექტური მიზეზ(ებ)ი უნდა იყოს მითითებული წერილობით ზარალის განაცხადში.

2.3. საქართველოს ფარგლებს გარეთ (დაფარული არეალის ქვეყნებში დამდგარი **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის დროს) **დამზღვევის** მიერ გაწეული ხარჯი ანაზღაურდება, წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის საფუძველზე. ამ დოკუმენტების წარმოდგენა **დამზღვევის** ვალდებულებაა.

2.4. **დამატებითი მოთხოვნები კასკოს დროს**

2.4.1. **დამზღვევი** ვალდებულია არ დაიწყოს **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად დაზიანებული **ავტოსატრანსპორტო საშუალების** შეკეთება **მზღვეველთან** შეთანხმების გარეშე;

2.4.2. დათვალიერების, მიყენებული ზიანის ოდენობის, დაზიანებული **ავტოსატრანსპორტო საშუალების** შეკეთების და აღდგენითი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, განათავსოს **ავტოსატრანსპორტო საშუალება მზღვეველთან** შეთანხმებულ სარემონტო-სახელოსნოში;

2.4.3. **მზღვეველის** მიერ დაზიანებული დეტალების შეცვლის ანაზღაურების შემთხვევაში, **დამზღვევი** ვალდებულია, გადასცეს **მზღვეველს** საკუთრების უფლება მოხსნილ/დაზიანებულ დეტალებზე, ხოლო **მზღვეველის** მიერ **ავტოსატრანსპორტო საშუალების** განადგურების/დაკარგვის ანაზღაურებისას, **დამზღვევი** ვალდებულია გადასცეს **მზღვეველს** საკუთრების უფლება დაზიანებულ **ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, მზღვეველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის ვადაში.**

2.5. **დამატებითი მოთხოვნები MTPL-ის დროს**

2.5.1. **დამზღვევი** ვალდებულია **მზღვეველთან** წერილობითი შეთანხმების გარეშე არ აიღოს **საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან** დაკავშირებით არანაირი პასუხისმგებლობა და არ გასცეს არანაირი ზიანის ანაზღაურების დაპირება.

2.5.2. **დამზღვევი** ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა, რათა დაზარალებულმა მხარემ არ მიმართოს სასამართლოს **მზღვეველის** მიერ ზარალის ანაზღაურებაზე მოთხოვნის განხილვამდე.

2.6. **დამატებითი მოთხოვნები MPA-ს დროს**

2.6.1. **დამზღვევი** ვალდებულია უზრუნველყოს, რომ დაზარალებულმა პირმა:

2.6.1.1. მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას დაუყოვნებლივ და აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს **მზღვეველს** წერილობით;

2.6.1.2. შეაგროვოს ყველა აუცილებელი სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მკურნალობა გამოწვეულია **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად.

2.6.1.3. თუ **მზღვეველი** ამას საჭიროდ ჩავთვლის, **მზღვეველის** მიერ დანიშნულ ექიმთან გაიაროს სამედიცინო გამოკვლევა;

2.6.2. დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში **დამზღვევი** ვალდებულია ფაქტის დადგომიდან ერთი კვირის განმავლობაში შეატყობინოს **მზღვეველს** აღნიშნულის შესახებ.

3. წარმოსადგენი დოკუმენტაცია

3.1. **პოლისი** და **განაცხადი** ზიანის დადგომის შესახებ;

3.2. **ავტოსატრანსპორტო საშუალების** სარეგისტრაციო მოწმობა;

3.3. შემთხვევაში მონაწილე **უფლებამოსილი მძღოლის** პირადობის და მართვის უფლების დამადასტურებელი მოქმედი დოკუმენტები/საკონტაქტო ინფორმაცია;

3.4. **ავტოსატრანსპორტო საშუალების** მძღოლის ნარკოტიკული/ალკოჰოლური თრობის ფაქტის შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, თუ იყო **საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა**;

3.5. ცნობა საპატრულო პოლიციიდან მომხდარის შესახებ (შემთხვევის დადგომაზე პასუხისმგებელი პირის მითითებით).

3.6. **ავტოსატრანსპორტო საშუალების ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის შემთხვევაში დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

3.6.1. **ავტოსატრანსპორტო საშუალების** არსებული ქარხნული გასაღებების კომპლექტი, სიგნალიზაციის მართვის პულტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

3.6.2. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების ასლი; ცნობა აღნიშნულ საქმეზე არსებული მდგომარეობის შესახებ (სისხლის სამართლის საქმის აღძვრიდან 3 თვის შემდეგ, რომ **ავტოსატრანსპორტო საშუალება** ნაპოვნი არ არის);

3.6.3. **ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე** გაცემული ნებისმიერი მინდობილობის დედანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

3.7. **სტიქიური მოვლენების შემთხვევაში დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

3.7.1. სახელმწიფო მეტეოროლოგიური ორგანოების ცნობა;

3.8. **მესამე პირებისათვის ზიანის მიყენებისას დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

3.8.1. **საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან** დაკავშირებული, თითოეული დაზარალებულის სახელზე შედგენილი აქტი;

3.8.2. სამედიცინო დასკვნა და სხვა მსგავსი დოკუმეტები, რომლებიც დაკავშირებულია **მესამე პირის** ჯანმრთელობისთვის მიყენებული დაზიანების სიმძიმესა და ხასიათთან ან მის გარდაცვალებასთან.

3.8.3. გარდაცვალების შესახებ ცნობა და მემკვიდრეობის დამადასტურებელი საბუთები (დაზარალებული პირის სიკვდილის შემთხვევაში);

3.8.4. **მესამე პირთა** მიმართ მიყენებული ზიანის კომპენსაციისთვის გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთები.

3.8.5. სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ გაცემული დოკუმეტები, რომლებიც ადასტურებენ დაზარალებულის ან მისი მემკვიდრეებისთვის სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად განსახორციელებელი გადასახადების ოდენობას;

3.8.6. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც დაფიქსირებულია **დამზღვევის** მიერ **მესამე პირის** სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ოდენობა, თუ პრეტენზიის განხილვა მოხდა სასამართლო წესით;

3.9. **მძღოლისა და მგზავრების დაზიანების შემთხვევაში დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

3.9.1. თითოეული დაზარალებულის სახელზე შედგენილი აქტი, რომელიც დაკავშირებულია **საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან.**

3.9.2. დაზარალებულის პირადობის დამადასტურებელი საბუთების ასლები;

3.9.3. გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებიდან;

3.9.4. შრომისუნარიანობის შეზღუდვისას - ცნობა/დოკუმენტაცია სამედიცინო დაწესებულებიდან;

3.9.5. გარდაცვალების შემთხვევაში - გარდაცვალების მოწმობა; დაზარალებულის სიკვდილის შესახებ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა; სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს სადაზღვევო ანაზღაურების

მიღებაზე უფლებამოსილი პირის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში; მემკვიდრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; მემკვიდრის საბანკო რეკვიზიტი;

3.10. **მზღვეველი** იტოვებს უფლებას საჭიროებისამებრ მოითხოვოს **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებული დამატებით სხვა დოკუმენტაცია.

3.11. მძღოლისა და მგზავრების დაზღვევის უბედური შემთხვევისას საქართველოს ფარგლებს გარეთ ანაზღაურდება (დაფარული არეალის ქვეყნებში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს) **დამზღვევის** მიერ გაწეული ხარჯი ანაზღაურდება, წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის საფუძველზე. ამ დოკუმენტების წარმოდგენა **დამზღვევის** ვალდებულებაა.

4. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

4.1. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველია **მზღვეველის** მიერ შედგენილი **დარეგულირების აქტი**. წინამდებარე პირობების საფუძველზე **მზღვეველი** იღებს ვალდებულებას შეადგინოს **დარეგულირების აქტი** ან გასცეს მოტივირებული წერილობითი უარი სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე **დამზღვევის** მიერ ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში;

4.2. დამზღვევის მხრიდან მე-3 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

4.3. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხდება სადაზღვევო პოლისში მითითებული მოსარგებლისთვის **მზღვეველს** და **დამზღვევს** შორის **დარეგულირების აქტის** ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა;

4.4. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ **სადაზღვევო თანხა/**გამოსაყენებელი ლიმიტი მცირდება გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების თანხის შესაბამისად;

4.5. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, ზარალის ოდენობის დადგენა შეიძლება მოხდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. ამ შემთხვევაში, ექსპერტის მომსახურების ხარჯებს საკუთარ თავზე აიღებს მისი მომწვევი მხარე;

4.6. მაქსიმალური სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა თითოეული ნაწილისთვის **პოლისში** დაფიქსირებული **სადაზღვევო თანხა,** მიუხედავად მომხდარი **სადაზღვევო შემთხვევის** და დაზარალებულის რაოდენობისა;

4.7. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ, **მზღვეველის** თანხმობის შემთხვევაში **დამზღვევი** უფლებამოსილია დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე აღადგინოს საწყისი **სადაზღვევო თანხა;**

4.8. თუ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ **დამზღვევს** მიყენებული ზარალი აუნაზღაურდა ამ ზარალის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, **დამზღვევი** ვალდებულია უზრუნველყოს მითითებული კომპენსაციის ოდენობით გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების დაბრუნება მისთვის თანხის მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

4.9. **ავტოსატრანსპორტო საშუალების** აღდგენის შემდეგ **დამზღვევი** ვალდებულია აცნობოს **მზღვეველს** (წარმოადგინოს ფოტომასალა მისთვის მისაღები ფორმით) ამის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში **მზღვეველი** უფლებამოსილია უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე **ავტოსატრანსპორტო საშუალების** განმეორებით დაზიანების დროს;

4.10. თუ შემთხვევის დადგომასთან დაკავშირებულ ფაქტებზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, **მზღვეველი** უფლებამოსილია გადადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება გამოძიების დამთავრებამდე ან საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე;

4.11. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობიდან გამოკლებული იქნება **სადაზღვევო პრემიის** დავალიანება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის დღისთვის;

4.12. **ავტოსატრანსპორტო საშუალების** დაკარგვის/განადგურების (თუ ნარჩენი ღირებულება გამოკლებული იყო სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლის დროს) ანაზღაურების მიღებისას **დამზღვევი** ვალდებულია გადმოუფორმოს **ავტოსატრანსპორტო საშუალება მზღვეველის** მიერ მითითებულ პირს **მზღვეველის** მოთხოვნიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში;

5. სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის წესი და პირობები

5.1. წინამდებარე პირობების გათვალისწინებული მომსახურებისთვის **დამზღვევი მზღვეველს** უხდის შესაბამის **სადაზღვევო პრემიას**, რომლის ოდენობა და გადახდის ვადები განისაზღვრება **პოლისით**;

5.2. **სადაზღვევო პრემიის** გადახდა განხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით;

5.3. იმ შემთხვევაში თუ **დამზღვევი სადაზღვევო პრემიის** გადახდის ვადას გადააცილებს 14 (თოთხმეტი) დღით ჩერდება სადაზღვევო მომსახურებაა, ხოლო ვადის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) დღის გასვლის შემდეგ წყდება დაზღვევის

ხელშეკრულება. **სადაზღვევო ხელშეკრულების** შეწყვეტამდე დავალიანების გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება დაზღვევის პერიოდის ამოწურვამდე, თუმცა დავალიანების პერიოდში (14 დღის გასვლის შემდგომ) მომხდარი შემთხვევები არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

5.4. პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის სრულად გადახდამდე მომხდარი ზარალები ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

6. რისკის ცვლილების შესახებ შეტყობინების ვალდებულება

6.1. **დამზღვევი პასუხისმგებელია განაცხადში** მითითებულ ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე. არასწორი, არასრული ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში **მზღვეველი** არ არის პასუხისმგებელი **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად დამდგარ ანაზღაურებაზე;

6.2. **დამზღვევი** ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობით შეატყობინოს **მზღვეველს ავტოსატრანსპორტო საშუალების** გამოყენების შეცვლის და დაზღვევის **განაცხადში**, **პოლისში** მითითებული ნებისმიერი პარამეტრების შეცვლის შესახებ;

6.3. **მზღვეველი** უფლებამოსილია შესთავაზოს **დამზღვევს** ახალი ხელშეკრულების დადება შეცვლილი პირობებით იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა **ავტოსატრანსპორტო საშუალების** ექსპლუატაციის პირობები ან გაიზარდა რისკი, ხოლო **დამზღვევის** მხრიდან შეცვლილი პირობების მიღებაზე უარის შემთხვევაში, შეწყვიტოს **დაზღვევის ხელშეკრულება;**

6.4. **მზღვეველი უფლებამოსილია** რისკის ცვლილებით განახორციელოს **სადაზღვევო პრემიის** გადაანგარიშება ან/და სადაზღვევო პირობების შეცვლა;

6.5. **მზღვეველი** თავისუფალია სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო **დამზღვევს** რჩება **სადაზღვევო პრემიის** გადახდის ვალდებულება **სადაზღვევო ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობებით, თუ **მზღვეველთან** არ იყო მიწოდებული ინფორმაცია ზემოთ ჩამოთვლილი რისკის ცვლილების შესახებ;

6.6. **დამზღვევი** ვალდებულია **ავტოსატრანსპორტო საშუალების** გასაღების დაკარგვისას დაუყოვნებლივ შეატყობინოს **მზღვეველს**. შეტყობინების გარდა **დამზღვევმა** ასევე უნდა უზრუნველყოს **ავტოსატრანსპორტო საშუალების** უსაფრთხო ადგილას გადაყვანა. აღნიშნული პრობლემის მოგვარებამდე, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაზარალებული არ იქნება დაზღვეული ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობის დროს.

7. დამატებითი მომსახურება

7.1. **დამზღვევი** დამატებით სარგებლობს გზებზე უფასო ტექნიკური მომსახურებით **დაზღვევის პერიოდში** 24 საათში ერთხელ. დამატებითი მომსახურება მოიცავს თბილისის და მის შემოგარენს 25 კმ რადიუსით ტერიტორიული არეალის ფარგლებში:

7.1.1. ევაკუატორის მომსახურებას (იმ შემთხვევაში თუ **ავტოსატრანსპორტო საშუალება** თავისი სვლით ვერ გადაადგილდება და მისი ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3.5 ტონას);

7.1.2. **ავტოსატრანსპორტო საშუალების** დაქოქვას;

7.1.3. ადგილზე საწვავის მიტანის სერვისს (ბენიზინის ღრებულების დაფარვა სერვისში არ შედის);

7.1.4. **დამზღვევის** კუთვნილი სათადარიგო საბურავით ჩანაცვლებას და გაბერვას.

7.2. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული რისკების შედეგად **ავტოსატრანსპორტო საშუალების** ისეთი დაზიანებისას, როდესაც იგი საკუთარი სვლით ვერ გადაადგილდება, **მზღვეველი** აანაზღაურებს შემთხვევის ადგილიდან სარემონტო-სახელოსნომდე მიყვანის ხარჯებს. ამასთან ჯამური სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა ლიმიტირებულია **პოლისში ავტოსატრანსპორტო საშუალების ძარის დაზღვევის** ნაწილისთვის გათვალისწინებული **სადაზღვევო თანხით.**

8. **ორმაგი დაზღვევა**

8.1. **დამზღვევი** ვალდებულია აცნობოს **მზღვეველს ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე** არსებული სხვა სადაზღვევო კომპანიაში დაზღვევის შესახებ (ორმაგი დაზღვევის შესახებ). თუ წინამდებარე პირობებით ასანაზღაურებელი **სადაზღვევო შემთხვევა** დაზღვეულია აგრეთვე სხვა პოლისით, **მზღვეველი** გადაიხდის ზარალს პროპორციულად, **მზღვეველის სადაზღვევო თანხის** ჯამურ (ყველა პოლისის) სადაზღვევო თანხაში **მზღვეველის** წილის პროპორციულად;

8.2. თუ **დამზღვევი** არ შეატყობინებს **მზღვეველს** ორმაგი დაზღვევის არსებობის შესახებ, მაშინ **მზღვეველი** თავისუფლდება **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემის ვალდებულებისგან. ხოლო იმ შემთხვევაში თუ **სადაზღვევო ანაზღაურება** იქნება გაცემული, **დამზღვევი** ვალდებული იქნება **უკან დაუბრუნოს მზღვეველს** ანაზღაურებული თანხა **მზღვეველის** მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში.

9. სუბროგაციის უფლება

9.1. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ **მზღვეველზე** ავტომატურად გადადის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც **დამზღვევს** გააჩნია მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ;

9.2. **დამზღვევი** ვალდებულია ხელი შეუწყოს და **მზღვეველს** გადასცეს ყველა **დამზღვევთან** არსებული დოკუმენტი და მიიღოს ყველა ზომა, რათა მოხდეს **მზღვეველის** მიერ სუბროგაციის უფლების რეალიზება;

9.3. **დამზღვევის** მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში **მზღვეველს** უფლება აქვს უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ან მოითხოვოს გაცემული თანხის უკან დაბრუნება.

9.4. იმ შემთხვევაში თუკი დადგინდება, რომ ადგილი ჰქონდა **დამზღვევის** მხრიდან ზიანის მიმყენებლი პირისგან ზიანის კომპენსაციის და მზღვეველისგან სადაზღვევო ანაზღაურების მიღებას, დამზღვევი ვალდებულია დაუბრუნოს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურება სრულად, ამ უკანასკნელის მოთხოვნიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.

10. დაზღვევის მოქმედების ვადა

10.1. დაზღვევის მოქმედების ვადა იწყება სადაზღვევო პოლისში მითითებული **დაზღვევის პერიოდის** დასაწყისად განსაზღვრული დღეს და მოქმედებს **დაზღვევის პერიოდის** დასასრულად განსაზღვრული დღის ჩათვლით (თუ სადაზღვევო პოლისით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული). ამასთანავე დაზღვევა ძალაში შედის **დამზღვევის** მიერ ერთჯერადი **სადაზღვევო პრემიის** ან განვადების შემთხვევაში **სადაზღვევო პრემიის** პირველი ნაწილის სრულად გადახდის შემდეგ.

11. დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის წესი და შეწყვეტის შედეგები/ხელშეკრულებაზე უარის თქმა

11.1. დაზღვევის მოქმედება შესაძლოა შეწყდეს:

11.1.1. თუ **ავტოსატრანსპორტო საშუალება** აღარ არსებობს;

11.1.2. თუ ამოიწურა **სადაზღვევო თანხით** განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტი (აღნიშნული ვრცელდება კონკრეტულ დაზღვევის დაფარვასთან მიმართებით);

11.1.3. **სადაზღვევო პოლისით** გათვალისწინებული ვადის გასვლით;

11.1.4. მხარეთა შეთანხმებით;

11.1.5. ერთი მხარის ინიციატივით ნებისმიერ დროს, მეორე მხარისთვის 10 (ათი) დღით ადრე წერილობითი გაფრთხილების გაგზავნის გზით;

11.1.6. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ;

11.1.7. **ავტოსატრანსპორტო საშუალების** გასხვისებისას დაუყოვნებლივ, თუ სხვაგვარად არ შეთანხმდა **მზღვეველთან**;

11.1.8. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებით სხვა შემთხვევაში;

11.1.9. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;

11.2. დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, თუ **დაზღვევის პერიოდში** არ არის დამდგარი არცერთი **სადაზღვევო შემთხვევა,** სადაზღვევო მომსახურების საფასური შეადგენს და შესაბამისად, **დამზღვევი** ვალდებულია გადაიხადოს **გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** სრულად;

11.3. დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, თუ **დაზღვევის პერიოდში** დამდგარი არის თუნდაც ერთი **სადაზღვევო შემთხვევა,** ხოლო გაცემული სადაზღვევო ანაზღაურებ(ებ)ის ჯამურ ოდენობა არ აღემატება გამომუშავებელი პრემიის 50%-ს, სადაზღვევო მომსახურების საფასური შეადგენს **გამომუშავებული სადაზღვევო პრემიას** სრულად და ასევე, **გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის** ოდენობის 20%-ს. იმ შემთხვევაში, თუკი გაცემული სადაზღვევო ანაზღაურებ(ებ)ის ჯამური ოდენობა აღემატება გამომუშავებელი პრემიის 50%-ს, სადაზღვევო მომსახურების საფასური შეადგენს **სადაზღვევო პოლისით** გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიას სრულად (როგორც გამომუშავებული, ასევე გამოუმუშავებელი), გარდა იმ შემთხვევისა თუ დაზღვევის შეწყვეტის ინიციატორი არის მზღვეველი და მზღვეველის ხსენებული ინიციატივა არ არის განპირობებული დამზღვევის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობით; დამზღვევი ვალდებულია მზღვეველის მხრიდან ყოველგვარი დამატებითი მოთხოვნის გარეშე გადაიხადოს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საფასური დაზღვევის შეწყვეტასთან ერთად დაუყოვნებლივ.

11.4. თუ ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება **მზღვეველის** ინიციატივით (გარდა იმ შემთხვევისა თუ შეწყვეტა განპირობებულია **დამზღვევის** მიერ ვალდებულების დარღვევით), ასეთ შემთხვევაში **დამზღვევი** ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ **გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** სრულად;

11.5. თუ დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა ხორციელდება **მზღვეველის** ინიციატივით, რაც განპირობებულია **დამზღვევის** მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ასეთ შემთხვევაში**:**

11.5.1. თუ **დაზღვევის პერიოდში** არ არის დამდგარი არცერთი **სადაზღვევო შემთხვევა,** დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, დამზღვევის ვალდებულება განისაზღვროს 11.2. პუნქტის შესაბამისად;

11.5.2. თუ **დაზღვევის პერიოდში** დამდგარი არის თუნდაც ერთი **სადაზღვევო შემთხვევა** დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, დამზღვევის ვალდებულება განისაზღვროს 11.3. პუნქტის შესაბამისად;

11.6. იმ შემთხვევაში თუ **დამზღვევი სადაზღვევო პრემიის** (გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელის (გარდა პირველი ან/და ერთჯერადი გადახდისა)) გადახდის ვადას 14 (თოთხმეტი) დღით, სადაზღვევო მომსახურება ჩერდება, ხოლო ვადის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) დღის გასვლის შემდეგ წყდება დაზღვევის ხელშეკრულება, რა შემთხვევაშიც სადაზღვევო მომსახურების საფასურის/პრემიის ოდენობა განისაზღვრება წინამდებარე მუხლის 11.2. და 11.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

11.7. დამზღვევის მხრიდან დაზღვევის შეწყვეტის შესახებ განაცხადის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს მზღვეველის ცხელ ხაზზე +995 322 640 640.

11.8. ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში დამზღვევს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას ხელშეკრულებაზე ჯარიმისა და საურავის დაკისრების გარეშე, რა შემთხვევაშიც მხარეებს დაუბრუნდებათ ამავე ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული სარგებელი (სადაზღვევო პრემია, სადაზღვევო ანაზღაურება).

11.9.11.8. პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) იმ მომსახურებაზე, რომლის ფასი 30 ლარს არ აღემატება;

ბ) თუკი ხელშეკრულების მოქმედების ვადა უარის თქმის უფლების პერიოდზე ნაკლებია;

გ) ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დაზღვევის ხელშეკრულებაზე, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება არ მოიცავს უარის თქმის უფლებას;

დ) დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე განხორციელებულ ცვლილებაზე, რაც მზღვეველის კონტროლს არ ექვემდებარება და რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების ვადის განმავლობაში;

ე) თუ დამზღვევმა/დაზღვეულმა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე, პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვა, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, მომსახურების მიღება და მზღვეველმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ შესაბამისი მომსახურების მიღებით იგი კარგავს უარის თქმის უფლებას.

12. ფორს-მაჟორი

12.1. თუ ამ პირობებით სხვა რამ არ არის შეთანხმებული, მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორული გარემოებების (ომი, სამხედრო მანევრები, დივერსია, კანონიერ ძალაში შესული სახელმწიფო ორგანოების აქტები და ქმედებები, ასევე სხვა მოვლენები, რამაც მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად დააბრკოლა ან/და შეუძლებელია გახადა მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების) შემთხვევაში და ასევე;

12.2. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე;

12.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია ფორს-მაჟორის დადგომიდან ან ფორს-მაჟორის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან ორ სამუშაო დღეში აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ. თუ არ განხორციელდება შეტყობინების გაგზავნა, მხარე არ გათავისუფლდება ვალდებულების შეუსრულებლობის პასუხისმგებლობისგან. თუ ფორს-მაჟორი ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება და **სადაზღვევო ხელშეკრულების** აღსრულების დაყოვნება მხარ(ეებ)ის ინტერესის დაკარგვას იწვევს, მაშინ მხარეები უფლებამოსილები არიან შეწყვიტო მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

12.4. მიუხედავად იმისა შეწყდება თუ არა მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება ფორსმაჟორული მდგომარეობის გამო, **დამზღვევი** ვალდებულია განახორციელოს **მზღვეველთან** ანგარიშსწორება (გადაიხადოს ფორსმაჟორული მდგომარეობის დადგომამდე წარმოშობილი და ასევე დადგომიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი

სადაზღვევო პრემია ან/და ყველა ის გადასახდელი, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით და ასევე გათვალისწინებულია ხელშეკრულების შეწყვეტისათვის) წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ფორსმაჟორული მდგომარეობის დასრულებისთანავე.

13. დავის გადაჭრა. ზიანის ანაზღაურება

13.1. პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიის მიღება, განხილვა და რეგულირება ხდება **მზღვეველის** ოფიციალურ ვებ–გვერდზე: www.alpha.ge განთავსებული „მომხმარებელთა პრეტენზიების მიღების, განხილვისა და რეგულირების პროცედურის“ შესაბამისად. პრეტენზია წარედგინება **მზღვეველის** ხარისხის მართვისა და მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სამსახურს შემდეგი საშუალებით:

13.1.1. წერილობითი (მატერიალური) ფორმით გამოხატული უკმაყოფილება/განცხადება, წარმოდგენილი უნდა იქნას საპრეტენზიო განცხადების სახით, ან სხვა არასტანდარტული განცხადების ფორმით, მზღვეველის მისამართზე ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N16. **მზღვეველის** მიერ პასუხის გაგზავნის მაქსიმალური ვადაა განცხადება/უკმაყოფილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;

13.1.2. წერილობითი (ელექტრონული) ფორმით გამოხატული უკმაყოფილება/განცხადება, წარმოდგენილი უნდა იქნას საპრეტენზიო განცხადების ელექტრონული ვერსიის ან სხვა არასტანდარტული განცხადების ელექტრონული ფორმით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე – ask@alpha.ge. **მზღვეველის** მიერ პასუხის გაგზავნის მაქსიმალური ვადაა განცხადება/უკმაყოფილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;

13.1.3. სატელეფონო ფორმით გამოხატული უკმაყოფილება/განცხადება შესაძლებელია დაფიქსირდეს **მზღვეველის** შემდეგ ტელეფონის ნომერზე: +995 322 640 640; **მზღვეველის** მიერ პასუხის გაცემა ხორციელდება დაუყოვნებლივ, შესაძლებლობის ფარგლებში, ხოლო თუ საკითხი საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას, განხილვისა და პასუხის მიწოდების მაქსიმალური ვადაა განცხადება/უკმაყოფილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;

პასუხი ბრუნდება იმავე საკომუნიკაციო არხით, რითაც მოხდა დამზღვევის მიერ უკმაყოფილების/განცხადების დაფიქსირება თუ წინასწარ მხარეები არ შეთანხმდებიან განსხვავებული საკომუნიკაციო არხზე;

13.2. წინამდებარე პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების შემთხვევაში მხარეები მორიგების მიზნით მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციას“ სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2 555 155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე mediacia@insurance.org.ge

13.3. **მზღვეველი** ასევე უფლებამოსილია, მიმართოს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს; ქ. თბილისი, ლ. მიქელაძის ქ. N3, ტელ: +995 32 223 44 10;

13.4. წინამდებარე პირობების საფუძველზე „მხარეთა“ შორის წამოჭრილი დავის ურთიერთშეთანხმებით დაურეგულირებლობის შემთხვევაში, დავა გადაწყვეტის მიზნით მხარეები მიმართავენ თბილისის საქალაქო სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

13.5. თითოეული “მხარე“ ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე „მხარეს“ მიყენებული ზიანი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. კონფიდენციალობა

14.1. მხარეები ვალდებულნი არიან, მეორე „მხარესთან“ წერილობით შეთანხმების გარეშე არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია მეორე მხარის შესახებ, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა **სადაზღვევო ხელშეკრულებიდან** გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას მოითხოვს კანონი.

15. პერსონალური მონაცემების დამუშავება

15.1. **მზღვეველი** **დამზღვევისა** და **უფლებამოსილი მძღოლების** დამატებითი თანხმობის გარეშე დაამუშავებს **დამზღვევის/მოსარგებლის/უფლებამოსილი მძღოლების** პერსონალურ მონაცემებს შემდეგი **მზღვეველის** მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნით;

15.2. **მზღვეველი** დაამუშავებს მის წარმომადგენელსა და **დამზღვევის/მოსარგებლის/უფლებამოსილი მძღოლ(ებ)ის** შორის განხორციელებულ ნებისმიერ სატელეფონო კომუნიკაციას სადაზღვევო მომსახურების გაწევის, მათ შორის ავტო სატრანსპორტო საშუალების დაზიანების ფაქტის სრულყოფილად შესწავლის მიზნით. აღნიშნული დამუშავება მოიაზრებს მზღვეველის მხრიდან აუდიო ჩაწერის განხორციელებას, რასთან დაკავშირებთაც **დამზღვევს** მიეწოდა ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებადე. **დამზღვევი** აცხადებს თანხმობას ხსენებული აუდიო ჩაწერის განხორციელების თაობაზე და ამავდროულად ადასტურებს, რომ მოპოვებული აქვს ასეთი თანხმობა მოსარგებლისა და უფლებამოსილი მძღოლ(ებ)ის მხრიდან, ხოლო მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში იგი ნებისმიერ დროს წარუდგენს მას ზემოხსენებულ თანხმობა(ებ)ს.

15.3. **მზღვეველი** ასევე უფლებამოსილია ზარალის დარეგულირების მიზნებისათვის, ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან, გამოითხოვოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია. მოიპოვოს **დამზღვევის/უფლებამოსილი მძღოლის/მოსარგებლის/დაზღვეული ავტო სატრანსპორტო საშუალების** შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელსაც პირდაპირ თუ ირიბად შეიძლება კავშირი ჰქონდეს წინამდებარე სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მხარეთა ვალდებულებებთან, სადაზღვევო შემთხვევასთან ან/და ზიანის ოდენობასთან, ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან/ორგანიზაციიდან.

15.4. **დამზღვევი** ადასტურებს, რომ მიღებული აქვს/მოიპოვებს უფლებამოსილი მძღოლებისგან წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ დამუშავებაზე თანხმობა, რაც ცალსახად გულისხმობს **დამზღვევის** პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაზე თუ **მზღვეველს** მიადგება ზიანი ამ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

15.5. **დამზღვევი** პასუხისმგებელია მის მიერ **მზღვეველისათვის** მიწოდებული ინფორმაციის კანონიერებაზე, მათ შორის მესამე პირის პერსონალური მონაცემების (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემების) მიწოდებაზე. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით **დამზღვევი** ადასტურებს, რომ ყველანაირ თანხმობას რაც დაკავშირებული იქნება **მზღვეველისათვის** ინფორმაციის მიწოდებისათვის მოიპოვებს **დამზღვევი,** ხოლო იმ შემთხვევაში თუ მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო **მზღვეველს** მიადგება რაიმე სახის ზიანი/ზარალი (მათ შორის შესაბამისი ორგანოს მიერ ჯარიმა) ამ ზიანს/ზარალს სრულად აანაზღაურებს **დამზღვევი მზღვეველის** მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

15.6. სადაზღვევო პოლისზე/ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დამზღვევი აცხადებს თანხმობას და მზღვეველს ანიჭებს უფლებას დამზღვევის/მოსარგებლის/უფლებამოსილი მძღოლ(ებ)ის პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი), დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი, ვინ კოდი და ამ ხელშეკრულების ფარგლებში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევ(ებ)ის შესახებ მონაცემები/ინფორმაცია (მიუხედავად იმისა, კონკრეტულ შემთხვევაზე გაიცა თუ არა სადაზღვევო ანაზღაურება) ასახოს შპს „სადაზღვევო-საინფორმაციო ბიუროს“ ინფორმაციის გაცვლის სისტემაში („იგს“).

შპს „სადაზღვევო-საინფორმაციო ბიურო“ (სკ: 204558433, იურ. მის: ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, ბარათაშვილის ხიდის მიწისქვეშა გადასასვლელი; ფაქტ. მის: ქ. თბილისის, ვაკის რაიონი, ილო მოსაშვილის ქ. #24) ახორციელებს იგს-ს ადმინისტრირების ფუნქციას.

იგს-ში ასახული ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება იგს-ში ჩართული სხვა სადაზღვევო კომპანიებისათვის. იგს-ს ფუნქციონირების მიზანს წარმოადგენს მონაწილე სადაზღვევო კომპანიების მიერ განხორციელებული ავტოტრანსპორტის დაზღვევის ფარგლებში ინფორმაციის გაცვლა. ინფორმაციის გაცვლა ხდება სადაზღვევო რისკების შეფასების, სადაზღვევო პირობების განსაზღვრისა და ფასწარმოქმნის მიზნით.

იგს-ში ჩართული არიან შემდეგი სადაზღვევო კომპანიები: 1. სს თიბისი დაზღვევა, ს/კ: 405042804, მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 24ბ, მე-3 სართული; 2. სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი, ს/კ: 204426674, იურ. მის: თბილისი, საბურთალოს რაიონი, კოსტავას ქ., N67; 3. სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი, ს/კ: 404476189, იურ. მის: თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 66ა, 4. სს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო, ს/კ: 205023856, იურ: მის: ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მ. კოსტავას ქუჩიდან, ვახუშტის ხიდზე გადამავალ გზასა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს შორის, (ნაკვეთი N12-13), ბოჭორიშვილის ქ., N 88/15, (მე-5 სართული); 5. სს სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია, 204491344, იურ./ფაქ. მის: თბილისი, ვაკის რაიონი, ილო მოსაშვილის ქუჩა, N24). ამასთან, გაცნობებთ, რომ სამომავლოდ იგს-ს შეიძლება დაემატოს ან გამოკლდეს მონაწილე კომპანიები.

ზემოხსენებული მიზნით მზღვევევლი, ასევე, უფლებამოსილია მიიღოს იგს-ში არსებული დამზღვევის სადაზღვევო შემთხვევების ისტორიის შესახებ ინფორმაცია.

დამზღვევის მოთხოვნის შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

15.7. მზღვეველი პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში ხელმძღვანელობს კომპანიაში დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულებით და სხვა შიდა რეგულაციებით, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე www.alpha.ge.

15.8.5. პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით მზღვეველის საკონტაქტო პირია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი შპს მონაცემთა დაცვის ოფიცერი (+995 555 50 51 58; info@dpo.ge www.dpo.ge).

16. ინფორმაციის მიწოდება/მიმოცვლა

16.1. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **მხარეთა** შორის გაფორმებული **დაზღვევის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ინფორმაციის მიმოცვლა განხორციელდება შემდეგი საშუალების გამოყენებით:

16.1.1. ოფიციალური წერილის/შეტყობინების გაგზავნის გზით – ინფორმაციის მიწოდების ასეთი საშუალების გამოყენების შემთხვევაში **მხარეთა** მიერ შეტყობინების გაგზავნა განხორციელდება **დაზღვევის ხელშეკრულებაში** (პოლისში) მითითებული მისამართების (მხარეთა ფაქტობრივი ან იურიდიული მისამართი) მეშვეობით ან მისამართის შეცვლის თაობაზე, ამ პირობებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, მხარისათვის გაცხადებულ ბოლო მისამართზე. ასეთ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება/კორესპონდენცია ჩაითვლება **დამზღვევის** მიერ ჩაბარებულად საფოსტო დაწესებულების თანამშრომლის მიერ მისამართზე ვიზიტის თარიღში, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე არ/აღარ იმყოფებოდეს ან მისამართი არასწორად/არაზუსტად იყოს გაცხადებული **მზღვეველისათვის;**

16.1.2. ელექტრონული ფოსტის ან მობილური ტელეფონის საშუალებით შეტყობინების გაგზავნის გზით – მხარეები ადასტურებენ, რომ **მზღვეველის** მიერ კომუნიკაციისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას **დამზღვევის** მიერ მითითებული ((**სადაზღვევო პოლისში** მითითებული)ასეთის არსებობის შემთხვევაში) ელექტრონული ფოსტა ან/და მობილური ტელეფონი, რაც გულისხმობს დათქმას, რომ **მზღვეველის** მიერ ამ მისამართზე/ნომერზე გაგზავნილი წერილი/შეტყობინება/მოკლეტექსტური შეტყობინება ჩაითვლება **მზღვეველის** მიერ გაკეთებულ ოფიციალურ წერილობით შეტყობინებად და მას წინამდებარე ხელშეკრულების (პირობების) მიზნებისათვის გააჩნია იგივე იურიდიული ძალა, რაც ექნებოდა მხარის მიერ ოფიციალურ წერილობით შეტყობინებას. **მზღვეველის** მიერ შეტყობინების გაგზავნის დღე ჩაითვლება ადრესატისათვის შეტყობინების ჩაბარების დღედ;

16.2. მხარე პასუხისმგებელია მეორე მხარისთვის მიწოდებული ინფორმაციის (დოკუმენტაციის) სისწორეზე, სიზუსტესა და ლეგალურობაზე. თუ მხარის მიერ მეორე მხარისთვის მიწოდებული ინფორმაცია(დოკუმენტაცია) ამგვარი არ აღმოჩნდა, ეს მხარის მიერ შესაბამისი ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება და მეორე მხარეს უფლება წარმოეშვება, არ შეასრულოს თავისი შესაგებელი ვალდებულება.

17. სხვა პირობები

17.1. **მხარეთა** შორის გაფორმებულ **დაზღვევის ხელშეკრულებაში** ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს **მხარეთა** მიერ ორმხრივად **ხელმოწერილი შეთანხმების** (ელექტრონული კომუნიკაციის/მობილური ტელეფონის გამოყენების შემთხვევაში ელექტრონული ფოსტების/მობილური ტელეფონის მეშვეობით განხორციელებული ორმხრივი დასტურის) შესაბამისად, რომელიც ძალაში შევა **მხარეთა** მიერ მისი ხელმოწერის/დადასტურების მომენტიდან ან ცვლილების დოკუმენტში/დასტურში მითითებული მომენტიდან, იმის გათვალისწინებით, რომელი თარიღიც უფრო გვიან დგება. წინამდებარე პუნქტი არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, რომელიც წინამდებარე პირობების შესაბამისად შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მხარის მიერ შეტყობინების გაკეთებით;

17.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაცემულ სადაზღვევო პოლისზე მხარეთა შორის ხელმოწერა შესაძლებელია მოხდეს ელექტრონული ფორმით სკანირეული ვერსიების გაცვლით, რომელსაც ექნება ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალურად გაფორმებულს.

17.3. **სადაზღვევო ხელშეკრულება,** მასში გათვალისწინებული უფლებებით და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება მხარეთა მემკვიდრეებზე, სამართალმემკვიდრე(ებ)სა და უფლებამონაცვლე(ებ)ზე;

17.4. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გაწერილი **სადაზღვევო ხელშეკრულებით,** მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

17.5. ამ პირობების რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში, დანარჩენი მუხლები და/ან პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო, ბათილი მუხლის და/ან პუნქტის ნაცვლად კი მოქმედებს ისეთი მუხლი და/ან პუნქტი, რომლითაც ადვილად მიიღწევა **სადაზღვევო ხელშეკრულებების** მიზანი. მხარის მიერ რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.